სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება (პროექტი)

ქ.დუშეთი 2018 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: ერთის მხრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტი, რომლის რეკვიზიტებია: მისამართი: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27, ს/კ 229324451, სახელმწიფო ხაზინა ბ/კ **TRESGE22**, ა/ა GE24NB03301002001165022 – შემდგომში ,,შემსყიდველი“

და მეორეს მხრივ: ----------შემდგომში ,,მიმწოდებელი“

მხარეები თანხმდებიან რა, რომ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მათ შორის ურთიერთობები რეგულირდება “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის, ,,სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 “ ბრძანების, და სხვა მოქმედი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1ხელშეკრულებისსაგანია: ქალაქ დუშეთში მდებარე, 71.51.01.389 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის - იუსტიციის სახლის მიმდებარე ეზოს კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

1.2 მიმწოდებელი ვალდებულიასაპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დაამზადება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ,შემსყიდველის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის დოკუმენტაციის გვერძე ატვირთული ტექნიკური დავალების შესაბამისად.

1.3 შესყიდვის საშუალება: ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე.

1.4სატენდერო განცხადების ნომერი NAT-

1.5კლასიფიკატორის კოდი: CPV- 71300000

1.6 დაფინანსების წყარო;ადგილობრივი ბიუჯეტი.

1. ხელშეკრულების ღირებულება

1.6 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: ()ლარს.

2. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ _ ,,ხელშეკრულება“) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

2.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

2.3 ,,შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ ,,შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

2.4 ,,მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აწვდის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

2.5,,დღე“, ,,კვირა“, ,,თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

3. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საერთო სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს განახორციელონ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან.

4.2 ''მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის(ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა,წუნდებული მომსახურების შეცვლა.

4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შესყიდული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიმღები კომისია.

5. მომსახურების მიწოდების პირობები

5.1 მომსახურების მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდათხუთმეტი)კალენდარული დღე . აღნიშნული ვადაში მიმწოდებელმა სრულად უნდა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება.

5.2. მიმწოდებელმა, არსებული მდგომარეობის შესწავლა, წინა საპროექტო კვლევა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზა (უსასყიდლოდ) განახორციელოს A-ტიპის ინსპექტირების ორგანოსთან - შპს ,,მშენ-ექსპერტი"-თან ერთად; (შპს,,მშენ-ექსპერტი"-ს დირექტორი მალხაზ წიქარიშვილი, ტელ: 599-73-02-15)

5.3 მიმწოდებელმა მიწოდების ვადის პერიოდში შემსყიდველს უნდა წარუდგინოს მზა პროექტი რომელსაც თან უნდა ერთვოდეს შპს,,მშენ-ექსპერტი"-ს მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნა;

5.4 შპს ,,მშენ-ექსპერტი"-ს მიერ გაცემულ საექსპერტო დასკვნის საფასურს გადაიხდის შემსყიდველი ორგანიზაცია;

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ერთჯერადად მომსახურების მიწოდების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მეოთხე მუხლის 4.5 პუნქტში მითითებული პირები).

7. 7. საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ნაბეჭდი (4 ეგზემპლ.) და ელექტრო ვერსიის სახით, (პროექტი - ,, PDF" და PLN ,DWG" ,(ხარჯთაღრიცხვა - ,, EXCEL '' ფორმატში) ;

8. ანგარიშსწორება

8.1. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე;

8.3.ანგარიშწორება განხორციელდება, სრულყოფილი პროექტის (მისი ყველა ნაწილის) ჩაბარების და შემსყიდველის მიერ ამ მიზნებისთვის შერჩეული, შესაბამის სფეროში აკრედიტებული პირის (ინსპექტირების ორგანოს)-შპს „მშენ ექსპერტის"-მიერ გაცემული დადებითი ინსპექტირების ანგარიშის (საექსპერტო დასკვნის) საფუძველზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე .

8.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ განიხილება.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. სუბკონტრაქტორები

11.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები;

12.2 მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე

12.3 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების ღირებულების 5% -ის ოდენობით.

12.2 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
13.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებმიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმააცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.
13.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
13.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ მომსახურების ვადის 20 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერუზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლისმიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

14.ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და

მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მომწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა

მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი

ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების შედეგად შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16.გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. გარანტია.

17.1 თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხო დოკუმენტაციას აღმოაჩნდება ხარვეზი,მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯები უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა.აღნიშნული ვალდებულება მოქმედებს ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგაც 5 წლის განმავლობაში.

18.შეტყობინება

18.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

18.2 შემსყიდველი უფლებამოსილია ოფიციალური შეტყობინება ატვირთოს შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში .ამგვარად ატვირთული დოკუმენტი ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად.

18.3 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

19. გადასახადები და დაბეგვრა

19.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით

დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

20.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა ----------

21.სხვა პირობები

21.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

21.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

21.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და მეორე პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

21.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

21.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი	მიმწოდებელი